



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 35
06/06/2018

35-06-4-201806061521



ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.
- ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ბიუჯეტის შედგენისას მეტი ყურადღება დაუთმოს საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის ყოველკვარტლურ განაწილებას.
- ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ:
 - დააწესოს მკაცრი კონტროლი ბიუჯეტის ყოველკვარტლური გეგმის შესრულებაზე.
 - განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.
 - უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების დროული ათვისება.
- განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
- განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. შუაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო